განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სლავური ფილოლოგია/Slavic Philology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სლავურ ფილოლოგიაში/Bachelor of Arts in Slavic Philology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მარინე არაშიძე, პროფესორი - marina.aroshidze@bsu.edu.ge ქეთევან სვანიძე, ასოცირებული პროფესორი - ketevan.svanidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ შესძინოს სტუდენტს საბაზისო ფილოლოგიური ცოდნა, გააცნოს მას შედარებითი და ტიპოლოგიური ფილოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიური მიდგომები, აზიაროს სლავური სამყაროს მნიშვნელობას თანამედროვე ინტეგრაციულ პროცესებში; ✓ მისცეს ფართო ცოდნა სლავური ფილოლოგიის არჩეულ სფეროში (რუსული ენა, ლიტერატურა, კულტურა; პოლონური ენა, ლიტერატურა, კულტურა/უკრაინული ენა, ლიტერატურა, კულტურა); ✓ განუვითაროს მას ფილოლოგიური ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი, მხატვრული/ლიტერატურული და სხვა ტიპის ტექსტების ანალიზის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, მიღებული ცოდნის ადაპტირებისა და ცვალებად გარემოში გამოყენების უნარი; ✓ განუვითაროს სტუდენტს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი (პირველი სლავური ენის დონე B2, მეორე სლავური ენის დონე B1, ინგლისური ენა), მთარგმნელობითი საქმიანობის საბაზისო უნარ-ჩვევები, წარმატებული კულტურათაშორისი დიალოგის/პოლილოგის უნარ-ჩვევები; ✓ აღზარდოს, უნივერსიტეტის მისიიდან და დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფილოლოგი-სლავისტი, რომელიც იქნება

	მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, აკადემიური კეთილსინდისიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიული ღირებულებისა და პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
სწავლის შედეგები	✓ აქვს სლავური ფილოლოგიის ფართო ცოდნა, აყალიბებს და განმარტავს მნიშვნელოვან ფილოლოგიურ კონცეფციებთან დაკავშირებულ ცნებებს, აღწერს სლავური ფილოლოგიის ძირითად საკითხებს;
	✓ მიმოიხილავს არჩეული სლავური ენობრივი სისტემის ყველა დონის თავისებურებებს, ლიტერატურული თეორიის ძირითად ცნებებს, ჟანრების სპეციფიკას, კულტურის ძირითად ასპექტებს, გათავისებული აქვს ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელობა და ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაციის (ზეპირი და წერილობითი) მნიშვნელობას მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში; ✓ იყენებს სპეციალიზაციის ენებს წერითი და ზეპირ კომუნიკაციის დროს (პირველი სლავური ენა - B2, მეორე სლავური ენა - B1 დონე) და ინგლისურ ენას პროფესიულ საქმიანობაში და საზოგადოებრივ სფეროში; ✓ იყენებს პროფესიულ საქმიანობაში დაკვირვებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს, შეუძლია სლავური ფილოლოგიაში მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომებით, აქვს ადაპტირების უნარი ცვალებად პროფესიულ გარემოში; ✓ განსაზღვრავს და განასხვავებს სხვადასხვა კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, იყენებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხს; ✓ იყენებს სოციალიზაციისთვის აუცილებელ ზოგად უნარ-ჩვევებს (ტექსტთან მუშაობის უნარ–ჩვევები, ტექსტური ინფორმაციის აღქმის და მოკლედ გადმოცემის, მისი ინტერპრეტაციის უნარი; პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვის არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, არგუმენტირებული დასკვნების უნარი); იყენებს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს; ✓ ახორციელებს კვლევითი ან გამოყენებითი ხასიათის ნაშრომს სლავურ ფილოლოგიაში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, მონაწილეობს დისკუსიებში ქართული და სლავური ლინგვოკულტურული პრობლემების ირგვლივ, ახდენს პროფესიულ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხოურ ენებზე არგუმენტირებულ კომუნიკაციას; ✓ აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. პატივს სცემს ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს, ქართულ და სხვა კულტურულ მემკვიდრეობასა და ფასეულობებს; ✓ ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ავლენს შეძენილი ცოდნის გაღრმავებისა/სრულყოფისთვის თვითშეფასებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარს, დროის მართვის უნარს; ✓ წარმატებით იყენებს პოლიკულტურული პიროვნების თვისებებს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ავლენს ნაცნობ და უცნობ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს, მაღალ მოქალაქეობრივი შეგნებას და ტოლერანტობას.